28. გ. ტოვსტონოგოვის საიუბილეო საღამო. 1974 წ. გ. ტოვსტონოგოვი სცენაზე კოლეგებთან ერთად. 13X18. 1 ც.

29. გ. ტოვსტონოგოვის საიუბილეო საღამოს შემდეგ ს. ზაქარიაძის სამუშაო ოთახში, თბილისის შ. რუსთაველის სახელობის თეატრის შენობაში. 1974 წ. კადრში: ლ. მაკაროვა, ვ. სტრიჟელჩიკი, რ. ჩხიკვაძე, კ. ლავროვი, ე. პოპოვა, ბ. კობახიძე, გ. ტოვსტონოგოვი. 13X18. 1 ც.

არკადი ხინთიბიძე

ქართველი მსახიობი, რეჟისორი და მულტიპლიკატორი არკადი ხინთიბიძე დაიბადა 1918 წლის 8 იანვარს სოფელ ძიმითში (ოზურგეთის რაიონი). სწავლობდა ქუთაისის რეალურ სასწავლებელში, რომლის დასრულების შემდეგ სოფელ ნაგომარის (ოზურგეთის რაიონი) სკოლაში განაწესეს, სადაც ადგილობრივ სცენისმოყვარულთა შორის გამოდიოდა. სამხედრო სავალდებულო სამსახურის მოხდის შემდეგ კი ტფილისში, აკაკი ფაღავას დრამატულ სტუდიაში ჩაირიცხა.

მოგვიანებით, 1928 წელს არკადი ხინთიბიძე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტს ამთავრებს. თეატრისა და კინოს სიყვარულს იგი ტფილისის „წითელ თეატრსა“ (1926-1928 წლებში – მუშათა თეატრი) და კინომსახიობთა სტუდიაში მიჰყავს, 1944 წლიდან კი კინოსტუდია „ქართული ფილმის“ რეჟისორად ირიცხებოდა. ახალგაზრდა მსახიობის თეატრალური დებიუტი „წითელი თეატრის“ პირველ სპექტაკლში („რიჟრაჟი“) აღინიშნა. როგორც თეატრის კრიტიკოსები წერდნენ, ღირსეულ პარტნიორობას უწევდა ალექსანდრე წუწუნავას, ნიკო გოცირიძეს, ვასო არაბიძეს... გამოარჩევდნენ მის მიერ განსახიერებულ აზნაურ ივანეს როლს სპექტაკლში „ჯანყი“ (ეგნატე ნინოშვილის მოთხრობის „ჯანყი გურიაში“ მიხედვით). აქ მსახიობმა შეძლო ისეთი თამაში, რომ ეს უარყოფითი პერსონაჟი მაყურებელთა საყვარელ სახედ იქცა. ყარამანის როლმა კი ნინო ნაკაშიძის პიესაში „ვინ არის დამნაშავე“ მას ქართველ აზნაურთა როლის საუკეთესო შემსრულებლის სახელი მოუპოვა.

აღნიშნული როლებით, რომელთაც კიდევ არაერთი დაემატა ახლებური დრამატული სახეებით, მსახიობმა კინოში გადაინაცვლა. დღესაც არ აკლია გულშემატკივარი მსუბუქი იუმორითა და სარკაზმით გაჯერებულ მიქელა კალმახიძეს დავით კლდიაშვილის მოთხრობების მოტივებზე გადაღებული რეჟისორ დავით რონდელის მხატვრული ფილმიდან „დაკარგული სამოთხე“ (1937). არკადი ხინთიბიძეს ასევე პოპულარობა მოუტანა მის მიერ კინოფილმებში განსახიერებულმა სხვა როლებმაც: ინჟინერი – „წარსულის საშინელებანი“ (1925), ყარამანი – „ვინ არის დამნაშავე“ (1925), აზნაური ივანე – „ჯანყი გურიაში“ (1928), ისმაილი – „ახალგაზრდობა იმარჯვებს“ (1929), გიორგი – „ამერიკელი გოგონა“ (1930), მუშის მეგობარი – „დამკვრელი“ (1931), როტე ფანე – „შაქირი“ (1930), კოჩია – „უდაბნო“ (1932), ყრუ-მუნჯი – „ჟუჟუნას მზითევი“ (1934), ტიტიკო – „დარიკო“ (1936), ენაბლუ ტუსაღი – „უკანასკნელი მასკარადი“ (1934), ჭიჭიკო – „ნახვამდის“ (1935), ლომკაცა – „ქალიშვილი ხიდობნიდან“ (1940), ფოსტალიონი – „მეგობრობა“ (1941) და სხვ.

არკადი ხინთიბიძე სამართლიანად მიიჩნევა ქართული მულტიპლიკაციური კინოს კლასიკოსად. მაყურებელს, განსაკუთრებით პატარებს, დღესაც მოსწონს მხიარული მულტფილმები, რომლის დამდგმელი რეჟისორიც არკადი ხინთიბიძეა: „მამაცი მთამსვლელები“ (1950), „ჯა-